

**“RUSUDANIANI” – A FAIRY-TALE EPIC OF THE RENAISSANCE ERA OR A  
LITERARY FAIRY TALE**

„რუსუდანიანი“ აღორძინების ეპოქის საზღაპრო ეპოსი თუ ლიტერატურული  
ზღაპარი

**Ketevan Barbakadze**

Doctor of Pedagogical Sciences  
Associated Professor of Gori State University,  
53 Chavchavadze St. 1400, Gori, Georgia  
+995577151211, qbarbakadze@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

**Tamar Gogoladze**

Doctor of Philology,  
Professor of Gori State University,  
53 Chavchavadze St., 1400, Gori, Georgia  
+995577251272, tamilagogoladze@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

**Abstract.** In the fourth period of Old Georgian literature, secular literature begins to develop, characterized by its specific genres. According to researchers, along with lyric poetry, prose emerges in the forms of heroic, moral-romantic, and didactic narratives, among which the so-called fairy-tale epic also appears. This genre originates from eastern plots of national folklore and is presented either by known authors (such as Peshangi, Baaka Dvaladze, etc.) or by anonymous writers (e.g., “Rusudaniani”). These works thanks to scribes and disseminators over several centuries, filled the dowry chests of brides and mothers and were considered as interesting reading material.

According to the renowned researcher of Georgian literature, Korneli Kekelidze, the fairy-tale epic is essentially a literary adaptation of fairy tales “in the true sense of the word.” This idea has led us to propose the hypothesis that the fairy-tale epic “Rusudaniani” can be regarded as a literary fairy tale by an unknown author. It unfolds as a series of tales narrated by the twelve brothers of Rusudan, the wife of King Manuchar of Yamaneti, in an effort to alleviate her mourning and sorrow.

**Key words:** Fairy-tale epic, “Rusudaniani”, Literary fairy tale.

**ქეთევან ზარბაქაძე**

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,  
 +995 577151211, qbarbakadze@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

**თამარ გოგოლაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
 ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,  
 +995577251272, tamilagogoladze@gmail.com  
<https://orcid.org/0000-0003-0450-2924>

**აბსტრაქტი.** ძველი ქართული მწერლობის მეოთხე პერიოდში ვითარდება საერო ლიტერატურა, რომელიც გამოირჩევა ჟანრობრივი სპეციფიკითაც. მკვლევართა აზრით, ლირიკასთან ერთად პროზა ყალიბდება საგმირო, მორალისტურ-რომანტიკულ და დიდაქტიკურ სახეობებად, რომელთა შორის გამოჩნდა ე.წ. საზღაპრო ეპოსიც. ის იქმნება აღმოსავლური სიუჟეტებიდან თუ ეროვნული ფოლკლორიდან ავტორიან (ფემანგი, ბააკა დვალაძე და სხვ.), თუ უცნობი ავტორის (მაგ. „რუსუდანიანი“) თხზულებებად, რომლებიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე გადამწერ-გამავრცელებელთა წყალობით ავსებდა პატარძალ-დედების სამზითვო სკივრებს და ითვლებოდა საინტერესო საკითხავად.

ქართული მწერლობის ცნობილი მკვლევრის, კორნელი კეკელიძის აზრით, საზღაპრო ეპოსი წარმოადგენს ერთგვარად ლიტერატურულად გადამუშავებულ ზღაპრებს „ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“, რამაც გაგვაბედინა ერთი ჰიპოთეზა - საზღაპრო ეპოსი „რუსუდანიანი“ წინამდებარე სტატიაში მიგვეჩნია უცნობი ავტორის ლიტერატურულ ზღაპრად, რაც ვითარდება იამანეთის მეფის, მანუჩარის მეუღლის რუსუდანის გლოვა-სევდის გაქარვებისათვის მისი 12 ძმის მიერ მოყოლილ ზღაპრებად.

**საკვანძო სიტყვები:** საზღაპრო ეპოსი, რუსუდანიანი, ლიტერატურული ზღაპარი.

**შესავალი.** ძველი ქართული მწერლობის საერო ლიტერატურის განვითარების ბოლო პერიოდს მიაკუთვნებენ ე.წ. საზღაპრო-ეპოსს. შემკრებლობითი საქმიანობისა და პრესის არარსებობის გამო ზღაპარი მხოლოდ მსმენელის წყურვილს აკმაყოფილებდა. გარდა ამისა, სწორედ „ამბის წიგნები“ (ე.ი. პროზაული ტექსტები) უყურადღებოდ რჩებოდა (კეკელიძე & ბარამიძე, 1987: 367) იქმნება ხელნაწერი „რუსუდანიანისა“, რომელშიც ფიგურირებენ დევნი, გველები, ვეშაპები, ფერიები და სხვა, ანუ აქვთ ერთ სიუჟეტურ ჩარჩოში მოქცეული ზღაპრების (12 ზღაპარი) ფორმა, „რუსუდანიანის“ რამდენიმე ხელნაწერია მოღწეული: S2541, S3698, მაგრამ თვით მეორე ზღაპარი, „ჯიმშედიანის“ სახელწოდებით, 1732 წელს გალექსა და დაბეჭდა მამუკა ბარათაშვილმა. კორნელი კეკელიძის აზრით, იგი დადიანების კარზე უნდა შექმნილიყო, სამეგრელოში: „ხელნაწერში S3698 მეორე ადგილას (გვ. 527) მიწერილი ყოფილა: „ღმერთო, წარუმართე ფალავას ქალს როდამსა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ როდამ ფალავას ქალი იყო თანამედროვე ელენე დედოფლისა („ელენე დედოფალი არის ასული ქართლის მეფის სვიმეონისა და მეუღლე ვამიყ მესამის დადიანისა“), მასთან დაახლოებული და ინიციატორი „რუსუდანიანის“ დაწერისა, რომელშიც როდამი ერთ-ერთი მოქმედი პირია:

ის არის ქალი მანუჩარისა და რუსუდანისა, რომელიც ურჯულო მეფემ ძალად წაიყვანა (კეკელიძე, 1981: 430).

ხელნაწერის ავტორი უცნობია, მას აკლია მეორე კარის ერთი ნაწილი, ერთგან (თავი „აქა ქორწილი მანუჩარისა და რუსუდანისა“. თხრობა აქ გაწყვეტილია და ტექსტი - ნაკლული. ეს ხარვეზი ხელნაწერებიდან მომდინარეობს” (ქართული პროზა, 1983: 733), პირველად ლექსიკონით გამოსცა იგი ილია ბაულაძემ და ივანე გიგინეიშვილმა 1957 წელს.

უცნობი ავტორის „რუსუდანის“ შექმნის თარიღი განსხვავებულია: ზოგი მკვლევარი მას XIII საუკუნის თხზულებად მიიჩნევს (დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი), ზოგიც XV საუკუნისად - მ. ბროსე, ნიკო მარი, ხოლო შემდეგ კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე და სხვები „რუსუდანის“ შექმნას XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ვარაუდობენ. მათ მოსაზრებას მხარს უჭერს როგორც თხზულების ლიტერატურული წყაროების შესწავლა, ისე ლექსიკური, თუ სხვა ხასიათის რეალიებიც.

ჩვენც ვეთანხმებით მკვლევართ, რომ „რუსუდანის“ XVII-XVIII საუკუნის ძეგლია. სასწავლო კურსის „ქართული საბავშვო ლიტერატურა“ სილაბუსში იგი შევიდა როგორც შუა საუკუნეების საზღაპრო ეპოსი. თუმცა, რამ გამოიწვია ჩვენი სტატიის სათაურში წარმოდგენილი ჰიპოთეზა მის ლიტერატურულ ზღაპრად მიჩნევის შესახებ. აღნიშნულზე დაფიქრება ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი მკვლევრის კორნელი კეკელიძის ერთმა შენიშვნამ გამოიწვია: მკვლევარი, განიხილავს რა, „ამირანდარეჯანის“, წერს: „აი ეს ერთიმეორისგან დამოუკიდებელი ზღაპრების ციკლი აუღია ვიღაც ავტორს და გადაუმუშავებია ლიტერატურულად, მას ისინი აუგია ერთ ღერძზე“ (კეკელიძე, 1981: 76).

„ლიტერატურული და ხალხური „ამირანდარეჯანის“ ურთიერთობის გათვალისწინებისას ასეთ მოვლენებს ვხვდებით, ის ზღაპრები, ლეგენდები და თქმულებანი, რომლებიც ლიტერატურულად გადამუშავებულ იქნენ „ამირანდარეჯანისში“ უკანასკნელის გავრცელების შემდეგ იკარგებიან და დავიწყებას ეძლევიან“ (კეკელიძე, 1981: 84). და თუმცა აღნიშნული ფრაზები უფრო ადრინდელ ნაწარმოებს ეხება, რატომ არ უნდა გამოიკვეთოს „რუსუდანის“ ჟანრობრივი სპეციფიკა, მით უმეტეს, რომ იგი უფრო გვიან უნდა იყოს შექმნილი და თანაც ევროპაში XVII-XVIII საუკუნის სიახლოვეს უკვე შემოდის „ლიტერატურული ზღაპარი“?

უძველესი ლიტერატურული ზღაპრებიც შეუქმნიათ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ინდოეთში, იტალიაში, გერმანიაში...

მაინც რა არის ლიტერატურული ზღაპარი და რით განსხვავდება იგი ფოლკლორულისაგან?

ლიტერატურული ზღაპარი საქართველოში შესწავლილია მკვლევარ ნესტან კუტივაძის მიერ ნაშრომში - „ქართული ლიტერატურული ზღაპარი“- XIX საუკუნე. ჩვენს მიერაც ერთგვარად ორჭოფული აზრი გამოითქვა აკაკი წერეთლის „თვიურ კრებულში“ დაბეჭდილი ერთი ზღაპრის ჟანრობრივი სპეციფიკის განხილვისას: ლიტერატურული თუ ფოლკლორული ზღაპარი იყო „ბროწეულის წყარო“. ამიტომ თავს უფლება მივეცით შევხებულიყავით შუა საუკუნეების საზღაპრო ეპოსის „რუსუდანის“ ჟანრსაც.

გარდა ამისა, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ უცნობი ავტორის მხატვრული აზროვნებისა და წერის მანერაზე, რამდენადაც სწორედ ამის წყალობით გახდა „რუსუდანის“ პოპულარული საკითხავი ქართველი მკითხველისათვის.

**მეთოდები.** გამოყენებული იქნება ძირითადად კომპარტივისტული და შედარებითი მეთოდები.

**შედეგები და მსჯელობა.** ლიტერატურულ ზღაპარსა და ფოლკლორულ ზღაპარს შორის განსხვავება მკვლევართა მიერ დიდი ხანია განისაზღვრა: ნესტან კუტივამეს მოჰყავს სკანდინავიელი მეცნიერის, ლუდმილა ბრაუდეს, მიერ ჩამოყალიბებული ნიშნები ლიტერატურული ზღაპრისა. „იგი შეიძლება ეფუძნებოდეს ფოლკლორულ წყაროსაც და გამონაგონსაც, მაგრამ აუცილებლად ემორჩილება ავტორის ნება-სურვილს. 2. ის უნდა იყოს ფანტასტიკური ხასიათის ნაწარმოები და ასახავდეს გამოგონილი ან ტრადიციული ზღაპრების გმირების თავგადასავლებს და 3. ჯადოქრობა, სასწაული უნდა ქმნიდეს სიუჟეტს და ახასიათებდეს პერსონაჟებს” (კუტივაძე, 2014: 8).

„რუსუდანიანის” სიუჟეტური ქარგა, მკვლევართა აზრით, ალევორიულია, თუმცა სხვა ეპიკურ ნაწარმოებებში (მაგ. „ამირანდარეჯანიანში”) იამანი, იამანის ძე გვხვდება, მაგრამ იგი სხვა ქვეყნის მიერ დაპყრობილ ქვეყანას უნდა წარმოადგენდეს, რაც ერთგვარი ანალოგიაა ქართული სინამდვილისა. მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოში არსებობს სოფელი „იანეთი”, რომლის ეტიმოლოგია შეიძლება უკავშირდებოდეს იამანსაც. პერსონაჟთა სახელებიც ქართულ სინამდვილეში შეიძლება ვეძებოთ: ქეთევანი, ფრიდონი, როსტევანი, გივი, ნოდარი, რუსუდანი...

ავტორს ეტყობა ბევრი წაუკითხავს თუ გაუგონია: „მშობელნი სადმთოსა და სამეცნიეროს ამბავსა უამბობდიან, სათნოებასა შეაგონებენ მისთანა სიტყვათა და ნუგეშინის სცემდნენ, რომელიმე ძველთა წიგნთაგან აღმოკითხულთა ამბავთ უამბობდიან” (ქართული პროზა, 1983: 26).

პერსონაჟ ზავის სიკვდილის გამო გამწარებული და არდუხი მოსთქვამს. ამ მოთქმისას ადარებს გარდაცვლილს „აქილევსებრ ცხენოსანსა, მახოსებრს მოსარსა, დაუცდენილად მხეცთა მომრველსა, ტარიელისებრს მინდორად მავალსა, ავთანდილისებრ სხვათა კურნებად რებულსა, როსტომისებრს დევთა ამომწყვეტელსა, ალექსანდრე მაკედონელისებრ ქვეყნის მპყრობელსა, სოლომონისებრივ სიბრძნითა სრულსა, ნომრევან მეფის მსგავსებრ დაუშრომელსა მოსამართლესა, შვენებით იოსების მჯობსა” (ქართული პროზა, 1983: 185-186). აშკარაა, ავტორი იცნობდა ან გაუგონია ლიტერატურული თუ ისტორიული პერსონაჟები, რაც თავისუფლად გამოუყენებია შედარებისათვის.

მეფეთა ჩაცმულობა, გართობა, ნადიმი კარგად იცის ავტორმა. საოცარი ოსტატობით აღწერს იგი ცხენბურთის მოთამაშეთ, ყაზახს და სხვა.

საცნაურია „რუსუდანიანში” ბევრ ადგილას მოხსენიებული ერთი ფრაზა, რაც ჯერ კიდევ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში” გვხვდება, ისიც მხოლოდ ერთ სტროფში:

„ყმა ტკბილი და ტკბილქართული, სიკეთის ხელის მხდელი,

მზესა ასრე ეუბნების, ვით გაზრდილსა ამომზრდელი,

ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ-ქმნა მისი საწადილი,

ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი” („ვეფხისტყაოსანი”, ა. ბარამიძის, კ. კველიძისა და ა. შანიძის გამოცემა, 1951:145. ხაზი ჩვენია - ქ. ბ. თ. გ.)

„ტკბილი, ტკბილქართული” ზოგან მოსაუბრის დასაწყნარებლად გამოიყენება. მაგ: „თუ გამოწევს თქვენი ხელმწიფის შვილი თავად ეცდება ტკბილის ქართულით დააყენოს” (ქართული პროზა, 1983: 212). ეს ფრაზა სხვადასხვა მნიშვნელობით აქვს ნახმარი ავტორს „რუსუდანიანში”: „ამ ჩვენს ქვეყანას რომ ეს ვეშაპი გამოჩნდა და დაიწყო ამ ქალაქს აოხრება ომით არა დაეგვრებოდა რა და ქართულით არა ესმოდა რა დასამშვიდებელი” (ქართული პროზა, 1983: 223).

„რა ზავარ მისგან ისე გულისკვლების ქართული მოისმინა, ასე უთხრა: (ქართული პროზა, 1983: 330).

„ერთი უცხო და სასმენელად მშვენიერი ამბავი მასშია მათის ენითა, მე ქართულად მითარგმნია და მას მოგახსენებ” (ქართული პროზა, 1983: 391).

„რა იმან იმისთანა ქართული უთხრა, ადგა, ათასი თუმანი დაუთვალა, მისცა ის ყმაწვილები გამოართვა“ (ქართული პროზა, 1983: 619) და სხვ. (ხაზი ჩვენია - ქ.ბ. თ.გ.).

როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, ნაწარმოები გაჟღენთილია ქრისტიანული სულისკვეთებით. მანუჩარი ქრისტიანია, დამპყრობელი ხელმწიფე კი - არა, პერსონაჟები ყოველი ბრძოლის წინ ლოცულობენ, ღმერთს შველას სთხოვენ, თუმცა, ზოგიერთ ქრისტიანულ ქვეყნისა თუ ქალაქის აღწერაში „ხოჯაც“ მოიხსენიება.

„რუსუდანიანში“ დიდი ყურადღება ექცევა აღზრდის თემას. მეფისწულს ხანდახან ვეზირს აზრდევინებენ, ხან კი ოდნავ უფროსი ყმაწვილი ხდება მეორე, უმცროსის, აღმზრდელი. იქ, სადაც არ ხდება მეფისწულის სწორი აღზრდა, შედეგები სავალალოა, ქვეყანა დაქცევის პირასაა.

„რუსუდანიანის“ სტრუქტურაც ისეა აგებული, რომ ერთი ძმის მოყოლილი არაფრით ჰგავს მეორეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მეთორმეტე ძმის მონათხრობი „აქა ამბავი იტიტინესი და ილაპარაკესი“. მთავარი პერსონაჟები მდინარის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები უსეინისა და ომარის ცოლებია, რომლებიც შეუფერებლად იქცევიან, ლანძღავენ, აგინებენ ერთმანეთს. განსაკუთრებით გამოირჩევა იტიტინე, რომლის დადუმება საკმაოდ ძნელია. მაგრამ ილაპარაკესთან აღზრდილი ნაპოვნი ქალი, რომელიც შემდეგ ზღვათა მეფის ასული აღმოჩნდება, თავისი მშვიდი ქმედებით გააბრაზებს იტიტინეს (ხოლო მასზე შეყვარებული აბუბეკირი - ილაპარაკეს ვაჟი- ბოლოს ცოლად მოიყვანს მას). ეს ზღაპარი ნ. მარის ნაშრომის (Восточные заметки, 229-230) მიხედვით „მეთორმეტე ზღაპრის ჩონჩხი სომხურ მწერლობაშიც არის ცნობილი“ (კეკელიძე, 1981: 428) თუმცა თვით „რუსუდანიანში“ ისევ გაიელვებს ფრაზა „ქართული“ ზღვათა მეფის ქალისა თავის მხლებლების დარიგებისას: „ისეთ ალაგს დასხედით, მისი ქართული არ გესმოდეთო და თვალით კი მხედავდით“ (ქართული პროზა, 1983: 714). (ხაზი ჩვენია - ქ.ბ. თ.გ.).

ამ ფრაზით იტიტინე ქართულად ლაპარაკობს, ანუ სავარაუდოდ, ქართველია. მსუბუქმა, რამდენიმე იუმორით გაჟღენთილმა „მეთორმეტე კარმა“ კი, ეტყობა, თავისით გაიკაფა გზა უცხო ქვეყანაში გადათარგმნისა და გავრცელებისაკენ.

„რუსუდანიანი“, ბუნებრივია, რაღაცით ემყარება ფოლკლორულ ზღაპრებს, რამდენადაც ბუმბერაზი დევები, ვეშაპები, გველები უკვე ცნობილი იყვნენ ქართველი მსმენელისათვის, ამდენად, აღებულია ჯადოსნური ზღაპრებიდან. ამით ავტორი ცდილობს ნაცნობიდან რეალურ-ალეგორიულისაკენ განაწყოს მკითხველი და, თუმცა მანუჩარი და ფრიდონი ბრუნდებიან სამშობლოში, რუსუდანი, ვისი სახელიც ჰქვია თვით ნაწარმოებს მიმღე ავადმყოფობით კვდება. ასეთი სევდიანი დასასრული აქვს ნაწარმოებს. ავტორიც მწუხარებით აღნიშნავს:

„უყურე სოფლისა სიმუხთლეს, თუ რამდენფერად იქცევის და რამდენისა ჭირსა და ლხინსა აჩვენებს კაცთა, მაგრამ დედათა არა ოდესმე დასცხრების და არცთოს ლხინსა ამებს, ჭირისა და ლხინსა ორსამე სამხალად უჩვენებს“ (ქართული პროზა, 1983: 732). თავად ეს დასასრული და ნაწარმოების სხვადასხვა ადგილას ავტორის ჩართვები მიგვანიშნებს „რუსუდანიანის“ ლიტერატურულად ჩათვლის ჰიპოთეზაზე, რასაც ხშირად ემატება ფანტასტიკა.

**დასკვნა.** შემოგვაქვს ჰიპოთეზა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი „რუსუდანიანი“ არა საზღაპრო ან საგმირო, არამედ ლიტერატურულ ზღაპრად მივიჩნიოთ, რაც ერთგვარად ამართლებს კიდევ უცნობი ავტორის მიზანდასახულობას: ალეგორიული ფორმით აჩვენოს საქართველოს, როგორც დამპყრობლის მიერ დატანჯული ქვეყნის, ხელმწიფეთა ამბავი მოხერხებული სიუჟეტური ქარგის მეშვეობით.

„რუსუდანიანში“ ხშირად ხმარებული ფრაზაც „ტკბილქართული“, „ქართულით“, მიგვანიშნებს ნაწარმოების ქართულ ენაზე, ქართულ სინამდვილეზე დაწერილობაზე

**გამოყენებული ლიტერატურა**

- კეკელიძე, კ. (1981). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტ. II. თბილისი: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- კეკელიძე, კ., & ბარამიძე, ა. (1987). *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- კუტივაძე, ნ. (2014). *ქართული ლიტერატურული ზღაპარი (XIX საუკუნე)*. ქუთაისი.
- ქართული პროზა*. (1983). IV. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

**REFERENCES**

- k'ek'elidze, k'. (1981). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Old Georgian Literature]*. Vol. II. Tbilisi: Publishing House of the Institute of Georgian Literature.
- k'ek'elidze, k'., & baramidze, a. (1987). *dzveli kartuli lit'erat'uris ist'oria [History of Old Georgian Literature]*. Tbilisi: TSU Publishing House.
- k'ut'ivadze, n. (2014). *kartuli lit'erat'uruli zghap'ari (XIX sauk'une) [The Georgian Literary Fairy Tale (19th Century)]*. Kutaisi.
- kartuli p'roza [Georgian Prose]*. (1983). IV. Tbilisi: Publishing House “Sabchota Sakartvelo”.